საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-137

15/03/2023

ქ. თბილისი

სსიპ - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიისათვის ეროვნული რეფერენსლაბორატორიის სტატუსის მინიჭების

შესახებ

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მე-20 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის, „ეროვნული რეფერენსლაბორატორიების შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 31 მაისის N02-380 ბრძანების და სოფლის მეურნეობის, სურსათისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის 2023 წლის 10 და 14 მარტის N1325/11,N1382/11 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიას, თანდართული დანართის -სურსათის მიკრობიოლოგიური, ზოგადი ქიმიური და ინსტრუმენტული, ცხოველთა დაავადებების და მცენარეთა მავნე ორგანიზმების რეფერენს მეთოდებით კვლევების ჩამონათვალის შესაბამისად, მიენიჭოს ეროვნული რეფერენსლაბორატორიის სტატუსი.

2. დაევალოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ნანა ჩინჩილაკაშვილს და სსიპ - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის დირექტორს ირაკლი გულედანს უზრუნველყონ ბრძანების განთავსება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსიპ - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის შესაბამის ვებ-გვერდზე.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი